რექტორის პროტოკოლი და მისი რეგულაციების პროცედურები

პროცედურის მიზანი.

პროცედურის მიზანია უზრუნველყოს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროტოკოლის რეგულაცია, დაგეგმოს და განახორციელოს რექტორის ვიზიტები და უზრუნველყოს სტუმრების მიღება უნივერსიტეტში პროტოკოლის საერთაშორისო წესების შესაბამისად. ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებას.

პროცედურის განხორცილებაზე პასუხისმგებლობა

საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახური პასუხისმგებელია პროცედურის განხორციელებაზე და სამუშაოთა კოორდინაციაზე, რისთვისაც თანამშრომლობს საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიებთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტებთან და და სხვადასხვა სტუქტურულ ერთეულებთან

1. **პროცედურის განხორციელების წესები და ვადები**

რექტორის ოფიციალური ვიზტების პროგრამას რექტორის აპარატთან ერთად ახორციელებს საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახური;

საზღვარგარეთის დელეგაციების მიღების წესს განსაზღვრავს და ვიზიტის პროგრამას ადგენს საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახური;

უნივერსიტეტში დელეგაციების მიღების კოორდინაციის მიზნით საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახური იღებს ინფორმაციას უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტული ერთეულისაგან დაგეგმილი ვიზიტის შესახებ და განსაზღვრავს მიღების დღეს და საათს და ეტიკეტის საერთაშორისო ნორმების შესაბამისად ორგანიზებას უკეთებს შეხვედრას;

უცხოეთში ან საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში გასაგზავნ ოფიციალურ დოკუმენტაციას შესაბამის ტსრუქტულ ერთეულთან ერთად ამზადებს საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახური და ხელმოსაწერად წარუდგენს რექტორს;

უნივერსიტეტის სტრუქტული ერთეულები საზღვარგარეთ გასაგზავნი ოფიციალური დოკუმენტაციას ათანხმებენ ს საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახურთან;

2. **შეფასება/ანგარიშგება**

წელიწადში ერთხელ სამსახური ამზადებს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს, რომელიც ეფუძნება:

- განხორციელებული ვიზიტების სტატისტიკა;
- დაგეგმილი და განხორციელებული ვიზიტების სტატისტიკა;
- არსებული ვითარების შეფასებასა და გაუმჯობესების გზების დასახვას;

ანგარიშს წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.

3. მარეგულირებელი დოკუმენტები

- უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი;
- ვენის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ;
- საქართველოს კანონი დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ;
- ეტიკეტის და პროტოკოლის საერთაშორისო მარეგულირებელი აქტები